არ შეიძლება გაურკვეველობის ლაბირინთებში არ შევიტყუოს დათა გულუას შემოქმედებამ, მისმა მისტიურმა ხილვებმა, მრავალწახნაგოვანი ასოციაციები არ აღგიძრას და მრავალგზის არ დაგაფიქროს მწარედ.

ამიტომ, დროა აქ გაეწვრდეთ! "კარგი ჯმა მამულს უკვდება"-ო, მწარედ მოთქვამს პოეტი, მაგრამ გულს მაინც ვერ ითხებს მძიმე დანაკარგით დათრგუნული.

მიუხედავად დროის შეუბრალებელი სრბოლისა, ვერც შენი მკითხველები ვერც ოჯახი, ვერც შენი მეგობრები გულს ვერასდროს მოიხებენ შენი დანაკარგით, რადგან "ვაგლახ, რომ მამულს მოუკვდი", შეილო, დათა!

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაგანებული ქართული მიწა!

ეს წერილი შენი ზარდამცემი სიტყვებით მსურს გავასრულო:

"...და ის საფანტი, ჩემს გულზე რომ მოსულა ნუშად,

იყო გარდასვლა შემოდგომის თეთრი ღამისი,

დალევწილი მაქვს თვალის ჭრილში საცქერი შუშა

და, სიყვარულო, შენ ყოფილხარ ჩემი დანტესი..."

...მოდით, დამხედეთ, გარდაცვლილმა როგორ ვიბრძოდე,

ნუ შეგაშინებთ თალხისფერი ჩემი სხეული.

მე არ მოემკვდარევი, არ მოემკვდარევი, მხოლოდ ვიცოცხლე.

ამაოებით არ მივსია სულის რვეული..."

როლანდ ჯალაღანი

## "ჩელა" შველას და კატრონობას ითხოვს

არ არსებობს ფოლკლორი ძველის გარეშე და რაც უფრო ხნიერია ანსამბლი, მით უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია ის. სწორედ ეს ითქმის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ "ჩელაზე", რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ზუგდიდელთა საეზიზიტო ბარათი იყო. მომავალ წელს ფოლკლორულ ანსამბლ "ჩელას" დაარსებიდან 45 წელი უსრულდება და ამ დღეს ანსამბლის გაუბედურებულ ვითარებაში ხდება. "ჩელას" მოაშორეს მოცეკვავეთა და დამკვრელთა ჯგუფი და თუ "ჩელა" ადრე ასამდე ვეწერს ითქვამდა, დღეს გუნდში მხოლოდ თექვსმეტამდე მომღერალია.

წელს, 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს ზუგდიდის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მაყურებლის წინაშე წარსდგა ჩელა, რომელიც ძველი ჩელას აჩრდილი იყო. "ეს იყო გაპუტული" ჩელა და არა ის ანსამბლი, რომელიც სასწაულებს ახდენდა სცენაზე და რომლებიც ქართული ცეცხლოვანი ტემპერამენტით ასრულებდნენ წამდელი, ჩვენი წინაპრების მიერ თაობიდან თაობამდე გადმოცემული ქართული ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს. ჩვენი თხოვნა და სურვილია, ანსამბლ "ჩელას" ძველმა თაობამ განაგრძოს სცენური სიცოცხლე, ჰქონდეს ხელშეწყობა. ჩვენი ასაკისა და სტატუსის შესაფერის ფესტივა-

ლებსა და ღონისძიებებზე მივიღოთ მონაწილეობა", – აცხადებს ჩელას ერთ-ერთი დამაარსებელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეზო ბულია. მისი თქმით ჩელას უნდა დაუბრუნდნენ მოცეკვავეები და დამკვრელები, რათა ღირსეულად შეხვდეს ჩელა 45 წლისთავს.

ანსამბლ "ჩელასა" და ანსამბლს "ოდიოსა" გაერთიანების შემდეგ, ამ გაერთიანებულ ჯგუფს ხელმძღვანელობენ გამოჩენილი ლობტარები: პოლიკარპე ხუბულავა და ომარ ნოდია, რომელთაც დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ.

მე ხელში ჩამივარდა ფოლკლორულ ანსამბლ "ჩელას" წარმომადგენელთა ერთობლივი განცხადება გაგზავნილი საზოგადოება "ზუგდიდელის" თავმჯდომარის, ბ-ნ ოთარ ფაცაციასადმი, რომელსაც ხელს აწერს 11 ადამიანი. ისინი ითხოვენ ოთარ ფაცაციასაგან შუამდგომლობას ზუგდიდის რაიონის გამგებელთან ალექსანდრე ქობალიასთან, რათა მათ შეხვდეს გამგებელი და მაინც ვართ ჩელაზე. დღეს რატომღაც "ჩელას" უვიწყებენ წარსულს და საცაა დაშლითაც ემუქრებიან. რატომღაც არაფერს დაფიქრებულა იმაზე, რომ სულ მცირე ყურადღების ღირსნი მაინც ვართ. თითქოს ფიქრობენ, რომ ჩელამ თავისი მისია ამოწურა. ეს ასე არ არის. ჩვენ ნამდვილად შეგვწევს უნარი, რომ

ვიყოთ ღირსეულები, ისეთები როგორებიც მაშინ ვიყავით, როდესაც ჭეშმარიტი ზუგდიდელებისაგან დიდ ყურადღებას, თანადგომას, ხალხის სიყვარულს ვგრძნობდით. ავიწყდებათ, რომ ფოლკლორი რაც უფრო ძველია, მით უფრო ძლიერია და რომ სიახლემ სიძველე არ უნდა ნაშალოს. რატომღაც ზუგდიდს უნდა დაივიწყოს "ჩელას" არსებობა, როდესაც ჩელა დღემდე კარგად ახსოვთ და აინტერესებთ თბილისში. ჩვენი სურვილია, რომ კვლავაც ისმოდეს "ჩელას მრავალჭამიერი" სადაღიანოში", ნათქვამია განცხადებაში.

დაიხ, "ჩელას" თანადგომა და დახმარება სჭირდებათ, მაგრამ პირველ რიგში სახელმწიფოსაგან. ნუთუ ვერ გამოინახა საამისო მიზეზული თანხა ზუგდიდის გამგეობაში, მაშინ როდესაც გავრცელებული ვერსიით, ყოველწლიურად, კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად ზუგდიდის გამგეობის ბიუჯეტიდან იხარჯება 650 000-მდე ლარი, ყოველად იგემოვნო კონცერტებისა და უსახური მომღერლებისა, თუ მომღერალთა ჯგუფების დასაფინანსებლად.

ლალო ძირია, ზუგდიდი

## ბიძინა ივანიშვილი: ელჩების დამტკიცების სანაცვლოდ, ციხიდან რამდენიმე ადამიანის ბანთავის უფლება მოსთხოვს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ელჩების დამტკიცების სანაცვლოდ, მას ციხიდან რამდენიმე ადამიანის განთავისუფლება მოთხოვეს. მისივე თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ პრეზიდენტს ელჩებთან დაკავშირებით განმეორებით მიმართა და "რეაქციაც მაშინ უნდა მომხდარიყო".

"მე როგორც ვიცი, ელჩების დამტკიცების სანაცვლოდ მათ რამდენიმე ადამიანის გამოთავისუფლება მოითხოვეს ციხიდან, სადაც მათი გუნდის რამდენიმე წევრი იხდის სასჯელს, თუ ელოდება პატიმრობას" – აღნიშნა პრემიერმა.

ივანიშვილის შეფასებით, საქართველოში შერჩევითი სამართალი არ არის და პოლიტიკური ნიშნით არაფერს იღებენ. "ვინც დააშავა, მხოლოდ მათ მოეკითხებათ. ელჩებს ამათთან ნუ დააკავშირებენ. მთავარბის ნორმალურ ფუნქციონირებას კრიმინალთან ნუ გააიგივებენ", – დასძინა მან.

როგორც ყველა ადამიანურ რესურსს, სააკაშვილი და მისი ნაციონალური ელჩებსაც საკუთარი პიარისთვის იყენებდნენ და ახლაც ელჩების მეშვეობით სდებენ ბრალს საქართველოს ახალ ხელისუფლებას ადამიანი უფლებების მასობრივ დარღვევებსა და "ნაცების" პოლიტიკურ დევნაში. და ამას აკეთებენ ის "ნაციონალი" არაადამიანები, რომელთა წაქეზებითაც, ამ სამიოდ თვის უკან, ქართულ ციხეებში შეყრილ პატიმრებს ცოცხებითა და ხელკეტებით აუპატიურებდნენ. სააკაშვილი კი ჩვეული უტიფრობით გემოდღვრავს ხან უცხოური გაზეთების ფურცლებიდან და ხანაც უცხოეთიდან, მაგრამ საშინლად დამფრთხალი მოითხოვს მისი დაპატიმრებული თანამზრახველების ციხიდან განთავისუფლებას, და თან ამას აკეთებს მისთვის დამახასიათებელი ჩარჩული გარიგები. ემინია სააკაშვილს, რადგან მისმა რომელიმე დამნაშავე ჩინოვნიკმა შეიძლება სააკაშვილის თანამონაწილეობა აღიაროს საქართველოში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში!

ისე, არც თავად ეპარება ეჭვი, რომ მისი და "ნაცთა" ბანდის ადგილი ციხეშია. ამიტომაც "იბრძვის" თანამზრახველთა ციხიდან დასახსნელად, რათა მათი აღიარების წყალობით თავადაც არ აღმოჩნდეს "ვირის აბანოში".



ბაიციანით – ბაზეთ “ილორის” ავტორი – ლეონტი ბიჭიაძე



ლეონტი გალაქტიონის ძე ბიჭიაძე დაიბადა 1934 წლის 15 ივნისს, ჭიათურის რაიონის სოფ. ცხრუკვეთში...

რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ თბილისის მე-20 ვაჟთა საშუალო სკოლაში...

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კომკავშირული საგზურით წავიდა სამუშაოდ ქარხანაში...

წარმოებაში გავიარა ყველა თანამდებობა – რიგითი ოსტატიდან წარმოების ხელმძღვანელამდე...

გახლდათ 1956 წლის 9 მარტის და 1989 წლის 9 აპრილის აქტიური მონაწილე მონაწილე...

რაც შეეხება მის შემოქმედებით-პუბლიცისტურ მოღვაწეობას, უკვარს მხატვრული ლიტერატურა და პრესა...

ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებლის დამთავრებამდე – 16 წლის ასაკიდან დაიწყო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში წერ-

ილების გამოქვეყნება. პირველი მისი წერილი, საარჩევნო თემაზე, დაიბეჭდა ქალაქ ჭიათურის კომკავშირის რაიონული კომიტეტის მრავალტირაჟიან გაზეთ „კომსიტევაში“...

ოფილება გამოიწვია, მაგრამ იძულებული შეიქმნა ამ მძიმე “ვერდიქტს” დამორჩილებოდა, რადგან, სხვა შემთხვევაში, შეიძლება სკოლიდანაც კი გაეციცხათ...

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აქვეყნებდა წერილებს სხვადასხვა გაზეთებში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისი წერილები და ინტერვიუები იბეჭდებოდა გაზეთ „სამშალოს“ და „ბენეფიკის“...

ამრიგად, ბატონი ლეონტი არის გაზეთ “ილორის” აქტიური ავტორი და სახალხო მოძრაობა “სამშალოს” მხარდამჭერი და მიაჩნია, რომ სამეგრელო ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნების საქმეში...

ამჟამად ბატონი ლეონტი მუშაობს წიგნზე, რომელშიც აისახება მისი მშობლიური სოფლის და გვარის ისტორია.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ საინტერესო და საქმიანი გზა განვლო, მაინც თვლი, რომ წარსული ცხოვრებიდან ბევრ რამეს შეცვლიდა, ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა რომ იყო.

რ. შალამაძე

არ ბავახარებ და მართლა სულს ამოვხდი ბივი თარბამაძეს!

“ე.წ. მუხროვანის ამბოხი პროკურატურისთვის პრიორიტეტულ საქმეთა რიცხვში აღმოჩნდა. დაკავებული სამხედრო პირები საქმის ობიექტურ გამოძიებას ითხოვენ და მზად არიან, მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ჩვენება მისცენ...

– ქალბატონო ლია, თქვენც სამხედრო პირი ბრძანდებით და მუხროვანის ამბოხის დროს ეროვნულ გვარდიაში მსახურობდით. რას იტყვით, მართლა “ამოქოქეს ტანკები” მუხროვანში 2009 წლის 5 მაისს?

– მუხროვანში არანაირი ამბოხი არ ყოფილა, იქ იყო დაუმორჩილებლობა – 26 მაისს ჯარს აღლუმზე გასვლას სთხოვდნენ, რაზეც სამხედროებმა უარი განაცხადეს იმის გამო, რომ ომში დამარცხდნენ. მიხეილ სააკაშვილმა ბრძოლის ველზე დაჭრილი და დახოცილი ბიჭები დატოვა და თბილისში ომის “მოგებას” ზეიმობდა. წიკ-ლაურები, თუთბერიძეები და მინაშვილები დღეს რომ გააკვირიან, “გმირები” დაიჭირეს, გმირები არც ბრძოლის ველს ტოვებენ, არც დაჭრილებს და დაღუპულებს. კაცს, რომელიც როყო ტყვეით დაიტყუა ფეხში და გამოიქცევა ბრძოლის ველიდან, – გენშტაბის უფროს კალანაძეს ვუყვარს, – ჯავშანტექნიკას და თავის ბრიგადას ალყაში დატოვებს, გმირი ჰქვია?! 2008 წლის აგვისტოში პროტესტი გამოვთქვი და არ წავედი ომში. გია კივიციანი ჩამოფრინდა, ვეხვეწე, არ ჩამოსულიყო, მაგრამ სამშობლოს უჭირს, აქ როგორ დაერწყო, – დაიუნა. მისი სიკვდილის შემდეგ შევიტყვე. ცხინვალის დაცვაში გადმოყვანილი, დაღუპულებიც და მუხროვანში დაუკრძალავს, თავისი ხელით გაუთხრია საფლავები...

– რა კავშირი ჰქონდა გია კრილაშვილს მუხროვანის ამბოხებასთან?

– გია 27 აპრილს გაფრინდა კიევში და 30-ში დამით ჩამოვრინდა. რომ დავინახე, ედლა მეცა, მითხრა, დამირეკეს, რაღაც საქმეა და ერთ კვირაში უკან უნდა წავიდეთ. ეჭვი მაქვს, რომ ჩემი ძმა ჩამოიტყუეს. 5 მაისს დილით, მას ვიდაცამ დაურეკე, და როდესაც შინიდან გავიდა, მუხროვანს უკვე ალყა ერტყა. 12 საათზე ტელევიზიით დავადაძის ჩვენება გავიკინე და როგორც კი მან გენერალთა შეთქმულება ახსენა, მაშინვე ვიკივლე, ეს მხეცები ძმას მომიკლავენ-მეთქი.

– ეს ადამიანი წლების წინ ჩამოშორდა სამხედრო საქმიანობას და რატომ უნდა ჩამოტყუებინათ?

– რატომ მოკლეს რომან შავაძე? – იმიტომ, რომ ჰქონდა ინფორმაცია აგვისტოს ომზე. ალბათ, გიაც ფლობდა რაღაც მნიშვნელოვან ინფორმაციას. ეს მკვლევარება მხოლოდ მუხროვანს ხომ არ შეეხება? – შეეხო კოჯორსაც, რენჯერებსაც, ყველა ბატალიონს. მოხდა რაღაც ომის დროს, რაც ბიჭებმა იცოდნენ, ჰქონდათ პროტესტი, ამათ კი არ სურდათ ჰყოლოდათ ისეთი ჯარისკაცები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ. გია იმხელა ავტორიტეტი იყო ჯარში, რომ შეეძლო იქ პროცესები ემართა, აეყოლებინა ბატალიონები და სა-თავუში ჩამოეგარყო, ჯარისკაცები გიას უფრო მოუსმენდნენ, ვიდრე ახალაიას. ამათ, უბრალოდ, გაწმინდეს ჯარები, ჩანაცვლეს თავისი კადრებით – უმრავლესობა დაიჭირეს, ბევრი სამსახურიდან გაუშვეს. არანაირი მტკიცებულება არ ჰქონდათ, რომ ამბოხი იწყებოდა – არც ვიდეო, არც აუდიოჩანაწერი. შეეძლო ფაბრიკაცია, მაგრამ ეგეც ვერ მოახერხეს. სხვათა შორის, კადრები, მიშა სააკაშვილი რომ შეევიდა ნაწილში ვანოსთან ერთად და იმუქრებოდა და, მიწიდან ამოიღეთ კრილაშვილი, გახიანთა გადადებულნი.

– ალბათ, თქვენთვის უმძიმესი იყო იმის შეტყობა, რომ გია სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს...

– შევიტყვე, რომ სპეცოპერაციას ესწრებოდნენ უგულავა, თარგამაძე, ახალაია და მერაბიშვილი. ამას წინათ ოთანადის ძმას ეუსმინე, რომელმაც თქვა, სამივე დაკავებული ჩასვეს მიკროავტობუსში, შემდეგ გადმოყარეს და დაცხრილეს. ახლა ასე ამბობენ, მაგრამ მაქვს ეჭვი, რომ ადგილზე სისხლის კვალიც არ იყო და გიას გვაში იქ შემდეგ მიიტანეს. ყველაზე ძალიან ის მამწარებს, რომ ძმა მომიკლეს ვიდაც ნაძირალებმა და მშობრებმა. თურმე ესეც არ აკმარებს და მოკლეს გვიცი თარგამაძე წიხლებით შესდგომა. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, არ გავახარებ თარგამაძეს, მართლა სულს ამოვხდი მაგ ნაძირალას! გამეცეს პასუხი თარგამაძემ, რას ერჩია ჩემს ძმას?

– ამბობენ, რომ სამივეს ლიკვიდაცია იყო ჩაფიქრებული, თუმცა ფაქტია, რომ მხოლოდ გია მოკლეს.

– ლია კრილაშვილი: – ამბობდის და ოთანადის ცოცხლად დატოვებდა თუ არ უნდოდათ, ამას ვერ მოახერხებდნენ? დარწმუნებული ვარ, ეს სპეცოპერაცია მხოლოდ გიას მოსაკლავად ჩატარდა. ნურავის ექვინება, მაგ რამ გიას სხვა ავტორიტეტი ჰქონდა. ალბათ მოვა დრო და ოთანაძე სიმართლეს იტყვის, ერთი ის უთქვამს, უიარაღოები

ყვედით დაბატონებულნი. “მარშრუტის” ამბავიც დადგინებული იყო. მე შეეხედი სასწრაფო დახმარების მძღოლს, რომელმაც მითხრა, გულანის სასწრაფოდან გამოვიკვამხეს სამი მანქანა, მერე ერთი დატოვეს და 2 წაგვიყვანეს. საერთოდ, როცა ასეთი სიტუაციაა, დაჭრილები ჩვენ შეგვეყავს, ბოლომდე ვეხმარებით, მაგრამ გარეთ არ გაგვანდეს, ფანჯრის მინებზე რაღაცები აგვიფარეს, რომ არაფერი დაგვეჩანა, თვითონ შემოასვენეს და დააწვინეს დაჭრილები. რას მალავენ, თუ ჩემი ძმა სამშობლოს მოღალატე იყო, დაესაჯათ. ექსპერტიზის პასუხიც არ მოგვცეს, გრიფი “საიდუმლო” ადევს. სასამართლოზე გიას სახელიც არ ახსენეს. სამი ექსპერტიზა მოვიყვანეთ, მაგრამ შიშით ვერც ერთმა ვერ ჩაატარა ექსპერტიზა. ახლობლები შიშით ვერ მოდიოდნენ პანაშვილზე. არ გამოვირცხავ, რომ ეს იყო თარგამაძის პირადი ანგარიშსწორება.

– ლია კრილაშვილი: – თარგამაძე მამას კარგად იცნობდა. ის ჩვენს ოჯახში რამდენჯერმე ამოსული, მამას რაღაცას სთავაზობდა, თუმცა უარს ეუბნებოდა. ზუსტად არც ვიცი, რას. მამა კარგად იცნობდა ნაციონალებს, ადარ უნდოდა, მათთან საერთო ჰქონოდა, ამათ მილიონებს ერჩინა, ეწვალა და შრომით მიეღო კაპიკები. მამისთვის მიუღებელი იყო ამათთან თანამშრომლობა. უკრიანაში ჯერ სამხედრო ატაშე იყო, 2004 წელს კი გაუშვეს და თავისი პატარა ბიზნესი ჰქონდა. მამა სულ მასწავლიდა და დღემდე მასწავლის კაცობას.

– სასამართლოსგან რას მოითხოვთ?

– ლია კრილაშვილი: – პირველ რიგში, იმას, რომ დაზარალებულებად გეცნონ, ასევე, სიმართლის დადგენას და გიას სახელის რეაბილიტაციას. ხანდახან ვფიქრობ, ალბათ ასეთი სიკვდილი თვითონ გაუხარებოდა-მეთქი. მას რომ უცხო ხალხის ტაში, ოვაციები და ცრემლები გაჰყვა, ისეთი არავის დაეხიზმრება. გიას ვაჟკაცობაზე ყოველ დღე ახალახალ ამბებს ვიგებ და მწუხარების მიუხედავად, წელში ვიმართები, სიამაყით ვივსები, რომ ასეთი ძმა მყავდა, ის კაცობაში არასოდეს ჩაჭრილა.

– ქალბატონო ლია, მართლა სველდება გიას ფოტოები და როგორ ხსნი ამ მოვლენას ეკლესია?

– გარდაცვალებიდან მე-9 დღეს აღმოვჩინე, რომ გიას ფოტოები სველდებოდა, ზედ ასოები ისახებოდა. ფოტოები საპატრიარქოში მეუფე თეოდორესთან მივიტანე და ახსნა ვითოვ. მეუფემ მითხრა, რა გატირებს, ვერ ხვდები, შენი ძმა ვინ არის, ასეთი რამ ხომ ყველას არ ემართებაო?! რომ არ მოეკლათ, გია ბერად აღკვეცას აპირებდა, ბოლო ხანს სულ ტაძარში იყო და ბევრს ლოცულობდა.

6. ვიცხეპაური



# ქართული სულიერების კერები წმინდა მიწაზე. ქართული ბერ-მონაზვნობა: წმ. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში



**წმინდა მიწა** – იერუსალიმი და მისი შემოგარენი – თავისკენ გვიზიდავს ისე, როგორც არცერთი სხვა ადგილი მთელს პლანეტაზე. წმინდა მიწა – სამშობლოა ყველა ქრისტიანისთვის, რამეთუ ამ მიწაზე განკაცდა უფალი, აქ ქადაგებდა, ახდენდა სასწაულებს, აქ ეწამა და აღესრულა მთელი კაცობრიობის ცოდვებისათვის. ამ მიწაზე ის მკვდრეთით აღდგა, აქედან ამალდა ზეცად. ამ მიწასთანაა დაკავშირებული ადამიანთა მოღვაწის ხსნის მთელი ისტორია. იერუსალიმში თუნდაც ერთხელ მოხვედრის შემდეგ შეუძლებელია წმინდა ადგილების ატმოსფეროს დაევიწყება.

იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესია (იმე) – ქრისტიანობის აკვანია, დედა ქრისტიანული ეკლესიებისა, შემნახველია ქრისტიანთათვის უწმინდესი წმინდა მიწის საგანძურისა. იერუსალიმიდან გაერცვლა სახარება მთელს მსოფლიოში. იერუსალიმის ეკლესიამ მსოფლიოს მოუვლინა ისეთი წმინდანები, როგორცაა არქიპისკოპოსი კირილე იერუსალიმელი, იერუსალიმის პატრიარქი იუვენალი, III და IV მსოფლიო ტაძრების მოღვაწე, მაიუმის ბისკოპოსი წმინდა კოსმა, მგალობელი, ბევრი უდიდესი დღესასწაულისა და ვნების კვირების კანონების შემდგენელი; პალესტინის სავანეების დამაარსებლები – დირსი მამები ხარიტონ მქადაგებელი, დიდი ექვთიმე მთაწმინდელი, საბა განწმენდილი და ბევრი სხვა.

XVI ს-ის ბოლოს იერუსალიმში არსებობდა ხუთი ქართული მონასტერი, მაგრამ უკვე XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVII ს-ის დასაწყისისთვის ქართველებმა დაკარგეს რამდენიმე სავანე. XVII ს-ის დასაწყისში გაღარიბებულმა ქართულმა თემმა ბერძნებს მიჰყიდა თავისი უფლებები გოლგოთის ნახევარზე. XVII ს-ის შუა წლებში ბერები დარჩნენ მხოლოდ წმინდა ჯვრისა (ანუ კვრის) და იერუსალიმის წმინდა ნიკოლოზის მონასტრებში. დანარჩენი სავანეები მიტოვებული იქნა ან იჯარით გადაეცა საერო პირებს. XVII ს-ის 40-იან წლებში ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტმა ნიკოფორე ირახხმა (ირუბაქიძე – ჩოლოყაშვილი) სავანეებში ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, მაგრამ 50-იან წლებში ქართველები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მონასტრები დიდალი ვალების გამო. 1682 წელს მონასტრები გაარემონტეს და 1685 წლიდან იქ განახლდა მღვდელთმსახურება, მაგრამ ამ დროიდან მოყოლებული ისინი ბერძნების ხელშია.

ამჟამად აწ განსვენებულ პატრიარქ დიოდორე I-ის გადაწყვეტილებით წმ. ჯვრის მონასტერი, ეკლესია და ერთ დროს მდიდარი სავანეების ნაშთები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა და წარმოადგენს სამრევლო მუზეუმს, რომელიც დამოუკიდებლად მუშაობს, განურჩევლად მათი რელიგიური შეხედულებებისა, მოუთხრობს ქრისტიანობის ისტორიის მშვენიერ და მწუხარე ამბებს.

## წმინდა ჯვრის მონასტრის დაარსების ისტორია ასეთია: სათავეები

ჯვრის მონასტერი მდებარეობს უღამაზეს მწვეანე ველზე იერუსალიმის დასავლეთ ნაწილში – ჯვრის ველზე (არაბულად ჭადი ველ – უსაღლაბე, იერითზე – ნახალ რეხავია). ჟამთა სვლისაგან გაყვითლებული მისი მაღალი კედლები იპყრობს ყველას ყურადღებას, ვინც კი სტუმრობს წმ. ქალაქს. გარეგნულად მონასტერი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეების მსგავსად გამოიყურება. მონასტრის თავისებური მშენებლობა კედლებთან ცისკენ მიმართული ორი უზარმაზარი კვიპაროსი.

მონასტერი მდებარეობს ზღვის დონიდან 750 მ-ის სიმაღლეზე, გორაკების გარემოცვაში, სადაც აღმართულია სამთავრობო კომპლექსის შენობები. მეორე მხარეს განლაგებულია მდიდარი და პრესტიჟული რაიონების მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ცოტათი მოშორებით კი ველზე გაშენებულია მშვენიერი ქალაქის პარკი.

მონასტრის შესახებ ცნობები მწირია. ოფიციალური მონაცემებით იგი დაარსებული იქნა XI ს-ის 30-50-იან წლებში დირსი ქართველის პროხორეს მიერ (**გიორგი პროხორე შავშელი**) და გააერთიანა მთელს წმ. მიწაზე გაბნეული ქართველთა სამო. არსებობს ასევე **„უბედესი წარსულის გადმოცემები“**.

## გადმოცემები მონასტრის დაარსების შესახებ

გადმოცემები და ლეგენდები წმ. ჯვრის მონასტრისა და იმ ადგილის შესახებ, სადაც ის იქნა აგებული, ძირითადად მიეკუთვნება შუა საუკუნეებს – მონასტრის აღორძინების პერიოდს, მაგრამ მათგან ზოგიერთი გაცილებით ძველია.

ერთ-ერთი ასეთი გადმოცემის მიხედვით, მონასტრის დაარსება განეკუთვნება ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიანს და მისი დედის ელენე დედოფლის მოღვაწეობის პერიოდს, ე.ი. ახ.წ. IV საუკუნეს.

მეორე ლეგენდა, სავარაუდოდ XVIII საუკუნისა, მონასტრის დაარსებას ათარიღებს V საუკუნით და ამ მოვლენას უკავშირებს იბერიის (საქართველოს) მეფე ტატიანს. ითვლება, რომ ტატიანმა, შეუღლა რა წმ. მიწაზე მომლოცველობას, გადაწვივითა იერუსალიმის დასავლეთით იბერიუ-



ლი მონასტრის აშენება მიწაზე, რომელიც კონსტანტინე დიდმა უწყალობა მირიანს, სხვა იბერიელ მეფეს.

მესამე გადმოცემა მონასტრის აშენებას მიაკუთვნებს იმპერატორ ირაკლის მმართველობის დროს. სპარსეთში ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ წმ. ქალაქში შესვლამდე ირაკლი დაბანაკდა იმ ადგილზე, სადაც ამჟამად მონასტერი მდებარეობს. ის ადგილი პატივსაცემად მიიჩნეოდა იმის გამო, რომ სწორედ იქ გაიზარდა ჯვრის ხე – ხე, რომლისგანაც გამოკვეთეს ქრისტეს ჯვარი. წმ. ჯვარი, რომელიც ირაკლიმ დააბრუნა სპარსეთიდან წმ. მიწაზე, მოჭრილი იყო გოლგოთაზე. სწორედ ირაკლიმ ბრძანა მის მიერ არჩეულ ადგილზე მონასტრის აშენება.

გადმოცემებში მოთხრობილია რეალური მოვლენებისა და ისტორიული პირების შესახებ, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წმ. მიწის და განსაკუთრებით

იერუსალიმის ისტორიაში. მაგრამ ისტორიულ მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ძალუძს მათი სანდოობის დადასტურება ან უარყოფა.

არანაკლებ საინტერესოა ლეგენდა იმ მიწის სიწმინდის შესახებ, სადაც დგას მონასტერი. ლეგენდა მოწმობს, რომ ეკლესია აშენებულია სწორედ იმ ადგილზე, სადაც გაიზარდა ჯვრის ხე. XV ს-მდე მლოცველებს შეეძლოთ საკურთხეველის უკან დაენახათ ის ადგილიც, სადაც ხე ხარობდა, და მისი ტანის ნაწილიც.

ამჟამად ეს ადგილი ტაძრისთვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიშენებული კაპელის შიგნითაა.

ჯვრის ხესთან და მონასტერთან დაკავშირებულ გადმოცემებზე ნათქვამია საეკლესიო წყაროებში და მომლოცველთა სამოგზაურო ჩანაწერებში, ასევე წმ. მიწის აღწერილობებშიც, მოყოლებული XII ს-დან. ამასთან, ცნობილია, რომ თავდაპირველი, ყველაზე ადრინდელი ლეგენდა განეკუთვნება ბიზანტიის ბატონობის პერიოდს (IV-VI სს.) დროთა განმავლობაში გადაწერის პროცესში გადმოცემები იცვლებოდა, იძენდა ახალ დამატებებს, რაც პრაქტიკულად დამახასიათებელია ყველა ლეგენდისა და გადმოცემისთვის და XVII საუკუნეში საბოლოოდ მიიღო დასრულებული ფორმა, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია.

ჯვრის ხის ისტორია სათავეს იღებს ბიბლიურ დროში, მაშინდელი აბრაამის დროს, რომელსაც ღმერთი გამოეცხადა მამრეში სამი ანგელოზის სახით. მაშინ ანგელოზებმა, რომლებიც მიემართებოდნენ სოდომისაკენ, აბრაამს დაუტოვეს თავიანთი სამი კვერთხი. სოდომის განადგურების და ლოტისა და მისი ქალიშვილების ცოდვით დაცემის შემდეგ ლოტმა აბრაამთან შეხვედრისას მის წინაშე აღიარა თავისი ცოდვა და უთხრა, რომ გამოსციდის დანაშაულს. აბრაამმა ლოტს მისცა ანგელოზების სამი კვერთხი, რათა ისინი დაერგო იერუსალიმის შემოგარენში და მიერწვა მდინარე იორდანეს წელით. თუ კვერთხები გაიხარება, ლოტოს ცოდვა ზეცისა და ღმერთის წინაშე შეწყალებული იქნებოდა. ლოტმა შესარულა ყოველივე რაც აბრაამმა დაავალა. მან კვერთხები დარგო ველზე სადაც ამჟამად მონასტერია აღმართული, მდინარე იორდანეიდან ეზიდებოდა წყალს, ებროდა სატანას, რომელიც მას აცდუნებდა, რწყავდა ჩარგულ კვერთხებს და მათ ამოიყარეს ყლორტები, სამი ხე ერთად გაიზარდა – ფიჭვი, კვიპაროსი და კედარი.

არანეველები იყვნენ ხე დაცვა სოდომის მფობისა და ტაძრის აშენების დროს. მაგრამ იუდეისტური ტაძრის ასაშენებლად ის არ გამოდგა. მისგან გამოთლილი დირეები არ გამოადგათ და გადაყარეს, როგორც დაწვევლილი და გამოუსადეგარი. მოგვიანებით სწორედ ამ დირეებისგან შეკრეს ქრისტეს ჯვარი.

მეორე გადმოცემის თანახმად, წმ. ჯვრის მონასტერი დაკავშირებულია იერუსალიმის იუდეური ტაძრის ჭურჭელთან. ბიზანტიის იმპერატორ იუსტინე II მხედართმთავარმა ველისარიუსმა, რომელმაც 536 წ. დაიპყრო რომი, იქიდან გაიტანა ძვირფასეულობა, როგორც იერუსალიმის ტაძრის დამანგრეველ რომაელთა საბრძოლო მონაპოვარი. მოათავსეს იერუსალიმში იუსტინიანეს მიერ ღვთისმშობლის სახელზე აგებულ ეკლესიაში, რომელიც ცნობილია **„ახალი ეკლესიის“** სახელწოდებით. 614 წ. სპარსელთა შემოსევის დროს ძვირფასეულობა გადაამალეს წმ. ჯვრის მონასტერში. 796 წ. არამუსულმანი არაბები თავს დაესხნენ მონასტერს და დახოცეს ყველა ბერი, ამიტომ საჭურჭლის ადგილსამყოფელი აქამდე უცნობია.

## მონასტერი V-X საუკუნეებში

ჯვრის მონასტერი იერუსალიმის შემოგარენში განლაგებულ სხვა სავანეებთან ერთად მოხსენებულია იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელ-

იც შეიცავს VI-VII საუკუნეებთან დაკავშირებულ ცნობებს.

1969-1973 წლებში იერუსალიმის საპატრიარქო ჩაატარა სამონასტრო ნაგებობების მსხვილმასშტაბიანი სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავდა სამონასტრო ეკლესიაში მოზაიკური იატაკის კონსერვაციასაც. მოზაიკა იქნა მთლიანად ამოღებული და დამონტაჟებული ახალ მყარ საფუძველზე, რესტავრაციის შემდეგ კი განლაგებული ადრინდელ ადგილას. ამან შესაძლებელი გახდა გარკვეული არქეოლოგიური გამოკვლევების ჩატარება. აღმოჩენის უდიდესი ნაწილი შეადგენდა ადრინდელი მოზაიკური იატაკის ფრაგმენტებს (დიდი ალბათობით ახალი წელთაღრიცხვის VI ს.). ძველი იატაკის ნაწილები აღმოჩნდა სადიაკვნოსა და სამსხვერპლოში, მათი საერთო განლაგება კი იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ თავდაპირველი შენობის გეგმა, რომელსაც იგი მიეკუთვნება, ემთხვევა ამჟამინდელი ეკლესიის გეგმას.

ამრიგად, არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა შესაძლებელი გახდა მონასტრის მშენებლობის საწყისი სტადიის განსაზღვრა – წმ. მიწაზე ბიზანტიური მმართველობის წლები.

614 წ. სპარსელთა შემოსევის დროს დანგრეული იქნა მრავალი ეკლესია და განადგურდა ბერ-მონაზვნურ თემთა დიდი ნაწილი, უმოწყალოდ დახოცეს ათასობით იერუსალიმელი ქრისტიანი მოქალაქე. ცხადია, ამ საშინელებას ვერ გადაურჩა წმ. ჯვრის მონასტერიც, რომელიც იერუსალიმიდან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარეობდა. როგორც ჩანს, ისიც ასევე დანგრეული და განადგურებული იქნა.

პალესტინის მიწები გაათავისუფლა მხოლოდ 629 წ. სპარსელებთან ბიზანტიის ომის გამარჯვებით დასრულების შემდეგ. სპარსელების მიერ დაპყრობილი უფლის ჯვარი დაბრუნებული იქნა პალესტინაში და აღიმართა ადრინდელ ადგილას – გოლგოთაზე. მაგრამ სანამ იერუსალიმს დატოვებდა, ირაკლიმ იერუსალიმის პატრიარქს – ზაქარიას მისცა დანგრეული ეკლესიებისა და მონასტრების აღდგენის განკარგულებას საიმპერატორო ხაზინის სახსრებით.

მკვლევართა აზრით, აღდგენის გეგმაში ჩართული იყო წმ. ჯვრის მონასტერიც. შესაძლებელია იმპერატორმა საგანგებო განკარგულებებიც მისცა ამ მონასტრის შესახებ, რამდენადაც სპარსელთა წინააღმდეგ საომარი კამპანია ატარებდა ჯვაროსნული ლაშქრობის ხასიათს, და მის ერთ-ერთ ძირითად მიზანს კი შეადგენდა მაცხოვრის წმ. ჯვრის დაბრუნება.

მაგრამ უკვე 638 წ. პალესტინა და იერუსალიმი დაიპყრეს არაბებმა. არაბთა შემოსევა წარმოადგენდა ქრისტიანთათვის მძიმე გამოცდის დასაწყისს. ბიზანტიისაგან და ქრისტიანული სამყაროსგან პალესტინის მოწყვეტა, ეკონომიკური დაცემა, ქრისტიანების მიმართ არაბი დამპყრობლების მიერ გატარებული რეპრესიები, მონასტრებზე სარკინოზთა და სხვა არაბული ტომების ბარბაროსული შემოსევები – ყოველივე ეს წარმოადგენდა წმ. მიწის უმეტეს ქრისტიანულ სავანეთა განადგურებისა და აოხრების მიზეზს.

## ნოდარ ერიაშვილი, პროფესორი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას საფრანგეთში მცხოვრებ ულამაზეს და სახელგანთქმულ ფრენბურთელს მუობლიური თბილისი ენატრება

რამდენიმე წელიწადია, ქართულ პრესაში ვიქტორია რავასთან ინტერვიუ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ დაბეჭდილა და ეს პუბლიკაცია პირველი მერცხალია.

**შეგახსენებთ:** მსოფლიო ფრენბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი საქართველოს დედაქალაქშია დაბადებული და მეუღლეც ჩვენებური ჰყავს – საქართველოს ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრების კაპიტანი ამირან ჯიოშვილი. ნიჭიერი და იმედისმომცემი სპორტსმენი ვიკა 16 წლის ბავთიანი გოგონა იყო, მისი ოჯახი თბილისიდან საფრანგეთში რომ გაემგზავრა საცხოვრებლად. იქამდე კი, ვიდრე უაღრესად ავტორიტეტულ ფრანგულ საფრენბურთო კლუბ “კანში” მოხვდებოდა და უამრავ ტიტულთან ერთად მსოფლიო პოპულარობასაც მოიპოვებდა, გოგონამ აზერბაიჯანულ და თურქულ კლუბებშიც მოასწრო თამაში... მისმა გამორჩეულმა ნიჭმა და შესაშურმა შრომისმოყვარეობამ მალე გამოიღო შედეგი – საფრანგეთის 16-გზის ჩემპიონი და ამდენჯერვე თასის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული და საუკეთესო მოთამაშე, საფრანგეთის ყველაზე ღირსეულ სპორტსმენი – ყველა ეს ტიტული “კანის” ლიდერს, ვიქტორია რავას ეკუთვნის. ვიქტორია მეუღლესა და ტყუპ ქალიშვილთან ერთად საფრანგეთის ცნობილ საკურორტო ქალაქ კანში ლაჟვარდოვან სანაპიროზე ცხოვრობს, მშობლიურ თბილისში ჩამოსვლას კი მომავალ ზაფხულს გეგმავს. მსოფლიო ფრენბურთის ვარსკვლავთან ინტერვიუ მისი

მეუღლის, ამირან ჯიოშვილის დახმარებით ჩაეწერეთ, ვიკასთან საუბარი კი საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებით დაეიწყეთ:

– ფრანგებმა დადებითად მიიღეს ის, რომ საქართველოში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა. მეც ვფიქრობ, რომ დემოკრატიის ხარისხი გაიზარდა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიხსნება ეკონომიკური საზღვრები, კიდევ უფრო განვითარდება ტურიზმი... საქართველო ხომ ძალიან ღამაში და სტუმართმოყვარე ქვეყანაა!

– მანდ თუ შეიცვალა რამე მას შემდეგ, რაც ნიკოლა სარკოზი აღარ არის ქვეყნის პრეზიდენტი?

– როცა პრეზიდენტი იცვლება, ყველა ქვეყანაში იწყება ცვლილებები. პირველ რიგში კი ვადასახადებ იმატებს (იციხის). დანარჩენს დრო გვიჩვენებს...

– ბოლოს როდის იყავით საქართველოში?

– 7-8 წელიწადი იქნება, თბილისში არ ვყოფილვარ და ძალიან მომეხატრა. თუმცა, ოჯახის წევრები და ახლობლები ჩვენთან ხშირად ჩამოდიან სტუმრად. რა თქმა უნდა, ქართული ნობათით – ღვინით, ყველით, ჩურჩხელებით, სხვადასხვა სუნელით დატვირთულიები (იციხის). მომავალ ზაფხულს კი მთელი ოჯახი ჩამოვალთ საქართველოში!

– რამდენიმე წლის წინ საფრანგეთის ულამაზეს სპორტსმენად დაგასახელეს... ვიქტორია რავა დღესაც ძველებურად პოპულარულია?

– იმედი მაქვს, რომ ასეა... ყველას სურს, იბრძოლოს, გამარჯვებას მიადწიოს და რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს კვარცხლებეკზე. ასე რომ, ვფიქრობ, ჯერ ისევ პოპულარული ვარ...

– ორივენი პოპულარული სპორტსმენები ხართ, მაგრამ, ალბათ, მაინც ამირანს მოიხსენიებენ როგორც ვიქტორია რავას მეუღლეს, და არა პირიქით... ქართველი კაცისთვის ეს რთული ასატანი არ არის?

– მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ნახევარზე მეტი საქართველოს საზღვრებს გარეთ გაატარა, ამირანი ნამდვილ ქართველ მამაკაცად რჩება! რაც შეეხება თქვენს კითხვას, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა (იციხის).

– რას ფიქრობს ფრენბურთელთა ვარსკვლავური წყვილი ქართული ფრენბურთის მომავლის შესახებ? გვაქვს პერსპექტივა სპორტის ამ სახეობაში?

– პერსპექტივა რომ იყოს, ფრენბურთში ახალგაზრდობის მოხილვაც აუცილებელია. ეს ყველაფერი კი პირდაპირ არის დაკავშირებული სპორტულ დარბაზებთან, კვალიფიციურ მწვრთნელებთან, ფედერაციის და სპორტის სამინისტროს სწორ მუშაობასთან და ა.შ.

– თქვენ და ამირანი ტყუპი გოგონას მშობლები ხართ. მათზე მოგვიყვით...

– ნინა და კალისტა უკვე ექვსი წლის არიან. სხვათა შორის, ტყუპიც იმავე დღეს (31 ოქტომბერს - რ.შ.) არიან დაბადებული, როცა მე მოვეველინე ქვეყანას. უკვე სპორტსმენები არიან - ფრენბურთს და ჩოგბურთს თამაშობენ და უნდა ნახოთ, როგორი უნდა იბრძვიან გამარჯვებისთვის. თავისუფლად ლაპარაკობენ ფრანგულ და რუსულ ენებზე, რა თქმა უნდა, ქართული სიტყვების მინიმუმდამდეგს უსმით. აი, როცა საქართველოში ჩამოვლენ, გაცილებით უკეთ ალაპარაკდებიან.

– ფრენბურთის გარდა რით არის დაკავებული ვიქტორია რავა? თქვენსთან პოპულარული ღამაზმანი, ალბათ, არაერთ პროექტში მონაწილეობს...

– ორი საქველმოქმედო ასოციაციის წევრი ვარ. ხშირად მიწევს ინტერვიუზე დათანხმება, ფოტო და სატელევიზიო გადაღებებში მონაწილეობა...

– კანში მცხოვრები თბილისელი ცოლქმრის ოჯახის სუფრაზე ხშირად არის ქართული კერძები და ღვინო?

– როცა ჩვენი მშობლები გვსტუმრობენ, ქართული კერძების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით – ჩვენს სუფრაზე საცივს, ხაჭაპურს, ბაჟუში ნაწყობილ დედალს და გოზინახსაც კი ნახავთ! გარდა ამისა, თბილისიდანაც ხშირად გვიგზავნიან მოსაკითხის და ჩვენს ოჯახში ქართული სუფრა ხშირად გაშლილი. რაც შეეხება ქართულ ღვინოს, ჩვენი აქაური მეგობრების ხელში, დიდხანს არც ის ძლებს. მერწმუნეთ, ფრანგებს ძალიან მოსწონთ ჩვენებური სამზარეულო და ღვინოები და უკვე სადღეგრძელოების წარმოქმნაც კი ვასწავლეთ, თამადის გარეშე კი ქვიფი ვედარ წარმოუდგენიათ...

ესაუბრა რ. შელაბიძე



## გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბმრია – XXI საუკუნის საუბითესო მენეჯერი”.

გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.



## იციკ მოყე – მე რომ საქართველოში ისრაელის ელჩი ვიყო, ჩავთვლიდი, რომ ჩემი მისია ამ ქვეყანაში ჩაპარდა

მე რომ დღეს საქართველოში ისრაელის ელჩი ვიყო, თანამდებობას დავეთვებდი, – ამის შესახებ საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი, იციკ მოყემ საქართველოს მიერ პალესტინის სტატუსის მხარდაჭერის კომენტარებისას განაცხადა. მისივე თქმით, თანამდებობას დატოვებდა არა გაერო-ში საქართველოს წარმომადგენლის პოზიციის გამო, არამედ იმიტომ, რომ საკუთარ მისიას წარუმატებლად ჩათვლიდა.

“მე რომ დღეს ვიყო საქართველოში ისრაელის ელჩი, დავეთვებდი თანამდებობას. არა გაერო-ში საქართველოს წარმომადგენლის პოზიციის გამო, არამედ ჩავთვლიდი, რომ ჩემი მისია ამ ქვეყანაში ჩაგარდა. პნელბელობის ჟამს ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ ისეთი მეგობარი ქვეყნები, როგორცაა ისრაელი და საქართველო, გვერდით დაუდგნენ ერთმანეთს. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ სახალხო დიპლომატიის საშუალებით ჩვენი ქვეყნების მცხოვრებთა დაახლოება. ორმხრივი ბიზნეს-საქმიანობების გაღრმავება არის საუკეთესო გზა ისრაელსა და საქართველოს შორის მყარი ხიდის აშენებისთვის. ორმა მიმართულებამ – სახალხო დიპლომატიამ და ბიზნესურთიერთობებმა უნდა უკარნახონ მთავრობებს ორივე მხარეს, რომ გაუჩნდეთ მეორე მხარის პროფესიონალურად

შესწავლის სურვილი და ერთმანეთთან მართებაში სტრატეგიულად და ადეკვატურად დაგეგმონ სამომავლო ქმედებები. წარსულის და დღევანდელ მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა არაორდინალურ შემთხვევაში მოსალოდნელია გართულებები”, – აცხადებს იციკ მოყე.

პალესტინის გაერო-ში სტატუსი მუდმივი დამკვირვებელიდან დამკვირვებელ სახელმწიფომდე გაეზარდა, რომელიც გაერო-ს წევრი არ არის. პალესტინის სტატუსის გაზრდას მხარი დაუჭირა 138-მა ქვეყანამ, მათ შორის – საქართველომ. თავი შეიკავა 41-მა სახელმწიფომ, ხოლო 9-მ ხმა წინააღმდეგ მისცა. სტატუსის მინიჭებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ისრაელი და აშშ.

სტატუსის გაზრდა პალესტინელებს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის უფლებას აძლევს, ასევე ზრდის მათი მონაწილეობის დამაჯერებლობას გაეროს სხვადასხვა სააგენტოებში და საერთაშორისო სასამართლოში, თუმცა ეს ავტომატურად არ ხდება.

პალესტინის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ მაჰმუდ აბასმა გაერო-ს სრულუფლებიან წევრობაზე განაცხადა 2011 წელს შეიტანა. თუმცა, აღნიშნულმა განცხადებამ გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერა ვერ მიიღო.

## იუმორი

მამაკაცი მაღაზიაში შედის და გააჩივრებულ ქალს ეკითხება:  
– ტრუსები გაქვთ?  
– არა!  
– არც გაყიდვაში?  
\*\*\*

– გამაგიჟებს ეს ხალხი! ხალიჩა იყიდეს და ყველა სტუმარს ფეხზე ახდევინებენ.  
– მე რე, ასე ბევრი იქცევა.  
– კი მაგრამ, მათი ხალიჩა კედელზე ჰკიდია...  
\*\*\*

კახელი სანადიროდ მიდის. ზურგანთა საჭმლითა და სასმელებით გაივსო. აიწინიდან ცოლმა გადასახა:  
– მიხო, თოფის წაღება დაგაიწყდა!  
– არ დაგებრუნდები, თორემ ნადირობისას ბედი არ გამიღიმებს!  
\*\*\*

– დედა, სკოლაში ყველა დიდთავას მეძახის!  
– ყურადღებას ნუ მიაქცევ, შვილო, ჩადი მაღაზიაში და 15 კილო კარტოფილი ამოიტანე.  
– რამე ტომარა მომეცი.  
– ტომარა რად გინდა, შვილო, ქულში ჩაიყარე და ისე ამოიტანე.  
\*\*\*

– ვინ ეშმაკმა მოიგონა ქორწილი, ცოლი არ უნდა მომეყვანა, ცოლქმრობა დიდი სისულელეა! – ამბობს გურული.  
– რატომ? – ეკითხება მეგობარი.  
– რატომ და, რომ დაფორები, ცოლი ვერ მიტანს, რომ გამოფხიხილდები, მე ვეღარ ვიტან დასანახად!

<p>ISSN 1987-8966 “ილორი”</p> <p>ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p><b>რედაქციის მისამართი:</b> თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95</p>	<p><b>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია</b> სარედაქციო საბჭო: თინათინ ქორიძე, ზურაბ ჯაფარიანი, თინათინ კახალიანი, კლინოპოლი, გივი სოხიანიანი, ლევითი ქობალია, ბიორბი სიჭინავა, ნოზარ სალაყანი (ბალი)</p> <p><b>ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ჩოლოყიანი</b> გაზეთის მენეჯერი: <b>ზურაბ ქობალია</b> 599-34-37-27</p>	<p>გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე <b>WWW.saqinform.ge</b></p>
--	---	--	--